ოქმი №2

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომისა, რომელიც გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციულ შენობაში 2026 წლის 27 იანვარს.

სხდომა დაიწყო 12:30 საათზე, დამთავრდა 12:40 საათზე.

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ჯ. ტყებუჩავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე - ლ. უჩანეიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბ. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ი. ქარდავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ი. კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე - ბ. ხურცია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურისკომისიის თავმჯდომარე - გ. შომახია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ზ. ნაჭყებია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა“-ს თავმჯდომარე - ლ. ჯინორია.

ასევე ესწრებოდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი საკრებულოს აპარატის უფროსი – ლ. თულაძე; აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 9; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს: 1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის შედგენის თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი - „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოწმობის ფორმისა და ამ ფორმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 აპრილის N34 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“.

და აღნიშნა, რომ მიზანშეწონილია წარმოდგენილი პროექტი დაემატოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვარს ჩასატარებელი სხდომის დღის წესრიგს.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 9; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. შეტანილ იქნეს ცვლილება სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს მიერ 2026 წლის 22 იანვარს შედგენილ საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში. კერძოდ, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას 2026 წლის 29 იანვარს განსახილველად წარედგინოს საკითხები შემდეგი დღის წესრიგის პროექტის სახით:

„დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 29 იანვრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა

2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ბ. კალანდარიშვილი

3. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – ი. კალანდარიშვილი

4. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ინგა ქარდავა

5. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცითტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის მიერ 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ'

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სივრცითი-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის
კომისიის თავმჯდომარე: გ. შომახია

6. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების
მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარე: ბ. ხურცია

7. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: ჯ. ტყებუჩავა

8. „სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) სანებართვო მოწმობის ფორმისა და ამ ფორმის აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 აპრილის N34 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე – ი. კალანდარიშვილი“

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ჯუმბერი ტყებუჩავა